ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7353682

ნომერი: AR11072948

თარიღი : 15.01.2025

გაცემის თარიღი : 23.01.2025

გაცნობის თარიღი : 24.01.2025

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, მიხეილ თამარაშვილის გამზირი, N 13თ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- კობა ძლიერიშვილი პ/ნ 35001005358
- რუსთავი გ.ოდიშარიას ქ. კორ. 25 ბ. 8

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2025 წლის 15 იანვარს №AR11072948 განცხადებით მომართა კობა ძლიერიშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2024 წლის 20 სექტემბრის №7224321 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად,

შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 20 სექტემბრის №7224321 ბრძანებით შეთანხმდა №01.10.16.004.199 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2024 წლის 20 სექტემბრიდან 2026 წლის 20 სექტემბრის ჩათვლით.
სამსახურის 2024 წლის 25 ნოემბრის №7294795 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 20 სექტემბრის №7224321 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში და საერთო ფართობად დაფიქსირდა 14341 კვ.მ., საცხოვრებელ ფართობად 4088.80 კვ.მ., საოფისე ფართობად 3945.90 კვ.მ., საზაფხულო ფართობად 2663.5 კვ.მ., კიბის უჯრედის და სადარბაზოს ფართობად 1492 კვ.მ. ასევე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 20 სექტემბრის №7224321 ბრძანებით შეთანხმებული გეგმები (გარდა, სახურავის გეგმისა) ჩანაცვლდა №AR11063820 განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველით წარმოდგენილი გეგმებით.
სამსახურის 2024 წლის 13 დეკემბრის №7319052 ბრძანებით კვლავ გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2024 წლის 20 სექტემბრის №7224321 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში და საერთო ფართობად დაფიქსირდა 14343.1 კვ.მ., ავტოსადგომის ფართობად 2116.3 კვ.მ., დამხმარე ფართობად 36.6 კვ.მ. ასევე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 20 სექტემბრის №7224321 ბრძანებით შეთანხმებული -1 და პირველი სართულების გეგმები ჩანაცვლდა №AR11069099 განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველით წარმოდგენილი ამავე სართულების გეგმებით.
განმცხადებელი ითხოვს ტექნიკური შეცდომის გასწორებას 2024 წლის 20 სექტემბრის №7224321 ბრძანებაში. კერძოდ, განმცხადებელი განმარტავს, რომ აღნიშნული ბრძანებით შეთანხმებულ +70.20 ნიშნულის გეგმაზე მდებარეობს საზაფხულო (ტერასა) ფართობი 376.5 კვ.მ., რომლის ფართობიც შეყვანილი არ არის საზაფხულო ფართობის ჯამურ მაჩვენებელში. შესაბამისად, სურს აღნიშნული ფართობი დაემატოს საზაფხულო ფართობის ჯამურ მაჩვენებელს.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ სამსახურის 2024 წლის 20 სექტემბრის №7224321 ბრძანებით შეთანხმებულ +70.20 ნიშნულის გეგმაზე ნაჩვენებია სახურავის დახრა და არ არის მითითებული ფართობი. შესაბამისად იგი არ წარმოადგენს ტერასას (შეთანხმებულ გეგმაზეც არ არის მსგავსი აღნიშვნა). აღნიშნულიდან გამომდინარე, მისი ტერასად დაფიქსირება ვერ განხორციელდება. შესაბამისად, არ არსებობს სამსახურის 2024 წლის 20 სექტემბრის №7224321 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების სამართლებრივი საფუძველი.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა სამსახურის 2024 წლის 20 სექტემბრის №7224321 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე საზაფხულო ფართობთან დაკავშირებით.
წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.